ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1286368

ნომერი: AR1218853

თარიღი : 19.05.2014

გაცემის თარიღი : 23.05.2014

გაცნობის თარიღი : 31.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თორნიკე ერისთავი , N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილი მოსიძე პ/ნ 12002000071
- თბილისი კახეთის შეს. N 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე პირველი კლასის დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის (საზეინკლო ცეხის) განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ნაძალადევი, თორნიკე ერისთავის ქუჩა №1-ში, ს/ს "ჩარხი-ხაზი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №036/002) I კლასის დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის (საზეინკლო ცეხის) განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882010669642 25.06.2010წ. საკადასტრო კოდი №01.12.08.036.002, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ნაძალადევი, თორნიკე ერისთავის ქუჩა №1-ში, ს/ს "ჩარხი-ხაზი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №036/002) I კლასის დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის (საზეინკლო ცეხის) განთავსების შესაძლებლობას.

ამასთან გასათვალისწინებელია:
- საკადასტრო საზღვრიდან 3 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორების შემთხვევაში სამეზობლო მიჯნის მხარეს დაუშვებელია კედელში ხვრეტების მოწყობა (კარის, ფანჯრის, ფრამუგის, სამტრედეს და სხვა..., ასევე აივნის ერკერის და ტერასის მოწყობა, შესაძლებელია მინაბლოკის მოწყობა);
- სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მომიჯნავე მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექის მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში;
- სამეზობლო მიჯნის მხარეს, საკადასტრო საზღვრიდან შენობის კიდემდე 5 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორებისას, სამშენებლო მასალად გამოყენებული ინდა იქნას ცეცხლგამძლე-არაწვადი მასალა ან მისი ზედაპირი დამუშავებული ინდა იქნას ცეცხლგამძლე ხსნარით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.